ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.665.03

ქ. თბილისი 30 მარტი, 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112“ (შემდგომში "შემსყიდველი") (იურიდიული მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა #10, ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქ. N8), საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22, სახაზინო კოდი 707147050, საიდ. კოდი - 204579429, წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **ავთანდილ ჩიტაძის** სახით, რომელიც მოქმედებს შსს სსიპ „112“ - ის დირექტორის 2018 წლის 29 იანვრის N225944 ბრძანების საფუძველზე

და

მეორე მხრივ

მიმწოდებელი: **სს „სადაზღვევო კომპანია ალფა",** საიდენტიფიკაციო კოდი: 204 568 896

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N16; ტელ: 2 640 640; მობ: 595 909 787

გენერალური დირექტორი: **კახაბერ დიასამიძე**

საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. ანგარიში: GE72BG0000000606253200

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. **ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია:** წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების და დანართი N1, N2, N3, N4, N5 და დანართი N6-ის პირობების შესაბამისად.

2.2. **შესყიდვის საშუალება:** გამარტივებული შესყიდვა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 4 533,99 (ოთხი ათას ხუთას ოცდაცამეტი ლარი და 99 თეთრი)** ლარს, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4. **დაფინანსება განხორციელდება:** 2018 წლის საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში.

2.5. **კლასიფიკატორის კოდი: 66500000** - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები.

2.6. **ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2018 წლის 01 აპრილის 00.00 საათიდან - 2018 წლის 30 აპრილის 24.00 საათამდე;

3.2. ხელშეკრულების დანართები:

3.2.1.დანართი N1: ნაწილობრივი ზარალი და სრული განადგურება (ტოტალი)

3.2.2.დანართი N2: დასაზღვევი სატრანსპორტო საშუალებები

3.2.3.დანართი N3: სადაზღვევო რისკები

3.2.4.დანართი N4: სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება და სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა შემთხვევა (ზარალი)

3.2.5.დანართი N5: ზარალის ანაზღაურების პირობები

3.2.6.დანართი N6: დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების შეცვლის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის გადანაწილების პირობები

4. დაზღვევის პირობებით (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4, დანართი N5 და დანართი N6) გათვალისწინებულ ტერმინთა განმარტებები:

4.1. **დამზღვევი** – იგივე შემსყიდველი, პირი რომელიც აფორმებს წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველთან;

4.2. **მზღვეველი** – იგივე მიმწოდებელი;

4.3. **დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება** – დანართი N2-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

4.4. **სადაზღვევო შემთხვევა** – წინამდებარე ხელშეკრულებით (და მისი დანართების პირობებით) განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.5. **სადაზღვევო შესატანი (პრემია)** - დამზღვევის მიერ გადასახდელი თანხა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ გასაწევი სადაზღვევო მომსახურების საფასურს;

4.6. **სახელშეკრულებო პერიოდი** – მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდს, მაგრამ არანაკლებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

4.7. **სადაზღვევო პერიოდი** – მოიცავს 2018 წლის 01 აპრილის 00.00 საათიდან 2018 წლის 30 აპრილის 24.00 საათის ჩათვლით პერიოდს.

4.8. **სადაზღვევო ღირებულება** - დანართი N2-ის მე-6 სვეტში მოცემული ღირებულება.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **მიმწოდებელის უფლება-მოვალეობები:**

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნაკლოდ.

5.1.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.1.3. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ნაკლოვანებები.

5.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ის ხარჯი (თანხა), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესაბამისად არ არის გათვალისწინებული შემსყიდველის სადაზღვევო პირობებით.

5.1.5. მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართ(ებ)ზე) ყოველი დღის ბოლოს მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების შესახებ.

5.1.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შესახებ.

5.1.7. მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება სადაზღვევო პერიოდის დასრულების შემდგომ.

5.1.8. მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომლებიც დადგება სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე, მიუხედავად იმისა, სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გასაწევი მომსახურების მიღება დასრულებულია თუ არა.

5.1.9. უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება;

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან გამოყოფილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.4. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.5. ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, მომსახურების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

6.7. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.8. თუ ამ მუხლის 6.7 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ან წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს აღნიშნულის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის გასვლისა.

7. ანგარიშსწორება

7.1. **ანგარიშსწორების ვალუტა**- ლარი;

7.2. **ანგარიშსწორების ფორმა** - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 მზღვეველი ვალდებულია მომსახურების დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტი. ანაზღაურება დამზღვევის მხრიდან მოხდება აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ, არაუგვიანეს 2018 წლის 30 ივნისისა.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 150 ლარის ოდენობით.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების (მათ შორის წუნის გამოსწორების) ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 100 ლარის ოდენობით.

9.6 5 წლის წლოვანების სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (მათ შორის წუნის გამოსწორების) ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ოდენობით.

9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

10.5.1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადის გადაცილების დარღვევის შემთხვევაში;

10.5.2. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.5.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. შემსყიდველის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სიაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე - როდესაც ცვლილება ეხება შემსყიდველის მიერ ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების დამატებას ან არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის გაუქმებას ინფორმაცია მზღვეველს უნდა მიეწოდოს სისტემატიურად. შემსყიდველი წერილობითი ფორმით ან ელ.ფოსტის მეშვეობით აცნობებს აღნიშნულის შესახებ.

11.2. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. აღნიშნული არ ვრცელდება დაზღვეულთა სიებში განხრციელებული ცვლილებებზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12.2. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. უფლებების გადაცემა

13.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14. ღირებულება და სავალუტო რისკები

14.1. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
14.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
14.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
15.2. ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
15.3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17.4. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები განიმარება ხელშეკრულების შინაარსიდან და კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.5. „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

17.6.„ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსთან განმარტებაში დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შსს სსიპ „112"-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**

ნაწილობრივი ზარალი და სრული განადგურება (ტოტალი)

ნაწილობრივი ზარალი - სადაზღვევო შემთხვევა, თუ მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა არ აჭარბებს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულების (დანართი N2-ის მე-6 სვეტი) 80%-ს.

მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის ჯერადობის მიუხედავად, ნაწილობრივი ზარალის ფარგლებში აანაზღაუროს სატრანსპორტო საშუალების შეკეთების ღირებულება სრულად (კონკრეტული რემონტის ხარჯი მთლიანად, რომელიც მითითებული უნდა იყოს დანართი N6-ის მე-5 პუნქტის შესაბამისად შედგენილ დეფექტურ აქტში), თუ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე ჯამურად გაწეული/გასაწევი ხარჯები არ გადააჭარბებს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულების **80%-ს.**

სრული განადგურება (ტოტალი) - სადაზღვევო შემთხვევა, თუ მზღვეველის მიერ ერთჯერადად ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა აჭარბებს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულების (დანართი N2-ის მე-6 სვეტი) 80%-ს.

სრულ განადგურებად (ტოტალი) ასევე ჩაითვლება შემთხვევა, თუ კონკრეტულ სატრანსპორტო საშუალებაზე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჯამურად (მიუხედავად ჯერადობისა) გაწეული-გასაწევი შეკეთების ღირებულება შეადგენს ან აღემატება კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულების (დანართი N2-ის მე-6 სვეტი) 80%-ს.

სრული განადგურების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა იყოს ნაკლები კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო ღირებულებაზე, მიუხედავად მანამდე ამ სატრანსპორტო საშუალებებზე დამდგარი შემთხვევებისა და ნაწილობრივი ზარალ(ებ)ის ანაზღაურებისა

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შსს სსიპ „112“-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**
_____	_____

დანართი N2

№	მოდელი	სახ. №	VIN კოდი	წელი	სადაზღვევო ღირებულება	პრემია	დანაყოფი
1	2	3	4	5	6	7	8
1	SKODA SUPERB	VQ 010 QV	TMBLE4NP3J7518379	2017	56493.85	184.3	შპს სსიპ "112"
2	TOYOTA CAMRY	H010XX	JTNBFYFK403022298	2012	19067.54	62.2	შპს სსიპ "112"
3	TOYOTA CAMRY	QV010VQ	JTNBFYFK103022484	2012	19067.54	62.2	შპს სსიპ "112"
4	VOLKSWAGEN JETTA	AE112AA	WVWZZZ16ZEM027073	2013	16422.00	53.57	შპს სსიპ "112"
5	VOLKSWAGEN JETTA	BS112SB	WVWZZZ16ZDM091705	2013	15312.00	49.95	შპს სსიპ "112"
6	VOLKSWAGEN JETTA	AQ112QA	WVWZZZ16ZDM091377	2013	15312.00	49.95	შპს სსიპ "112"
7	VOLKSWAGEN JETTA	AA112PP	WVWZZZ16ZDM091493	2013	15312.00	49.95	შპს სსიპ "112"
8	VOLKSWAGEN JETTA	AA112WA	WVWZZZ16ZDM091723	2013	15312.00	49.95	შპს სსიპ "112"
9	VOLKSWAGEN JETTA	AA112VA	WVWZZZ16ZDM091281	2013	15312.00	49.95	შპს სსიპ "112"
10	SKODA OCTAVIA	HG013GH	TMBAD4NE9D0034836	2013	14652.00	47.8	შპს სსიპ "112"
11	HYUNDAI ELANTRA	BC112BD	KMHDH41EBCU334957	2011	10394.32	33.91	შპს სსიპ "112"
12	HYUNDAI ELANTRA	VB898VB	KMHDH41EBCU334857	2011	10394.32	33.91	შპს სსიპ "112"
13	SKODA OCTAVIA	AA112FA	TMBAD4NE1D0038153	2013	14652.00	47.8	შპს სსიპ "112"
14	SKODA OCTAVIA	AA112UU	TMBCK21Z0C2087097	2011	7267.13	23.7	შპს სსიპ "112"
15	SKODA OCTAVIA	AD112AB	TMBAD4NE8D0040384	2013	14652.00	47.8	შპს სსიპ "112"
16	HYUNDAI ACCENT	AA112QA	KMHCT41CBCU133138	2011	5504.40	17.95	შპს სსიპ "112"
17	HYUNDAI ACCENT	AA112GA	KMHCT41CBCU132168	2011	5504.40	17.95	შპს სსიპ "112"
18	TOYOTA HILUX	GNG-783	MROFR22G080644813	2008	10605.40	34.59	შპს სსიპ "112"
19	TOYOTA COASTER	AW112AW	JTGFB518X01048642	2011	16651.01	54.32	შპს სსიპ "112"
20	TOYOTA HIACE	BQ112BQ	JTFSX23PX06117551	2011	11893.06	38.8	შპს სსიპ "112"
21	SKODA OCTAVIA	HVH-036	TMBCK21Z4B2048866	2010	3626.86	11.83	შპს სსიპ "112"
22	MERCEDES VITO	AA-044-HH	WDF63970313549783	2009	11592.48	37.82	შპს სსიპ "112"
23	SKODA OCTAVIA	LHL-288	TMBCK21Z0B2009689	2010	3811.56	12.43	შპს სსიპ "112"

დანართი N2

№	მოდელი	სახ. №	VIN კოდი	წელი	სადაზღვევო ღირებულება	პრემია	დანაყოფი
24	VOLKSWAGEN CRAFTER	RDR-911	WV1ZZZ2EZA6004934	2010	41650.00	135.88	შსს სსიპ "112"
25	SKODA OCTAVIA	OO-772-OJ	TMBDB41Z882089302	2007	3219.00	10.5	შსს სსიპ "112"
26	FORD CARGO 1826	BG112GB	NM0KXXTP6KDF96577	2013	134809.48	439.81	შსს სსიპ "112"
27	FORD TRANSIT 46E	AS112SA	NM0FXXTTFFDA21748	2013	37376.00	121.93	შსს სსიპ "112"
28	FORD TRANSIT 46E	BQ112QB	NM0FXXTTFFDA23231	2013	44915.20	146.53	შსს სსიპ "112"
29	FORD TRANSIT 46E	BB112FF	NM0FXXTTFFDA23253	2013	37376.00	121.93	შსს სსიპ "112"
30	FORD TRANSIT 46E	BB112GG	NM0FXXTTFFDA21617	2013	44915.20	146.53	შსს სსიპ "112"
31	FORD TRANSIT 46E	AA112TA	NM0FXXTTFFDA23248	2013	37376.00	121.93	შსს სსიპ "112"
32	FORD TRANSIT 46E	BB112PP	NM0FXXTTFFDA23243	2013	37376.00	121.93	შსს სსიპ "112"
33	FORD TRANSIT 46E	BB112LL	NM0FXXTTFFDA22834	2013	37376.00	121.93	შსს სსიპ "112"
34	DAF LF45	CC112II	XLRAE45GF0L433339	2013	92796.60	302.74	შსს სსიპ "112"
35	DAF LF45	QQ112GG	XLRAE45GF0L433408	2013	92796.60	302.74	შსს სსიპ "112"
36	DAF CF65	AA112AV	XLRAE65GG0G053026	2014	164188.14	535.65	შსს სსიპ "112"
37	DAF LF210	TT112QQ	XLRAEL1F00L460091	2016	200200.00	653.14	შსს სსიპ "112"
38	SKODA OCTAVIA	HS242SH	TMBAD4NE9F0100322	2014	18078.86	58.98	შსს სსიპ "112"
39	SKODA OCTAVIA	BB011BF	TMBAD4NE6F0110189	2014	18527.38	60.44	შსს სსიპ "112"
40	SKODA OCTAVIA	OO013KK	TMBAD4NE3F0110201	2014	18015.99	58.77	შსს სსიპ "112"
		ჯამი			1389804.32	4533.99	

შემსყიდველი

შსს სსიპ „112"-ის დირექტორის
მოადგილე

ავთანდილ ჩიტაძე

მიმწოდებელი

გენერალური დირექტორი

კახაბერ დიასამიძე

სადაზღვევო რისკები

№	**სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი**
1	• ავტოსაგზაო შემთხვევა (არ აქვს მნიშვნელობა ვისი მიზეზით მოხდება ავარია); • ქურდობა; • ძარცვა; • ყაჩაღობა; • სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება ან განადგურება, რაც გამოწვეულია ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით; • მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი; • დაზიანება ან მთლიანი განადგურება, რაც გამოწვეულია რაიმე საგნის დაცემით, მოხვედრით; • დაუდგენელი მიზეზით სატრანსპორტო საშუალების დაზიანება; • ეგრეთ წოდებული ,,უხეში გაუფრთხილებლობის" შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, მიუხედავადად იმისა მძღოლი გადაღლილი იყო, ჩაეძინა ან დაარღვია მოძრაობის წესები; • სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა) ან უბედური შემთხვევა (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება და განადგურება გარეშე და აშკარა მიზეზებით); • წინამდებარე რისკებით გამოწვეული დამატებითი აღჭურვილობის, დეტალებისა და აქსესუარების (მინების, სარკეების და ა.შ.) დაზიანება-ქურდობა; • ტერაქტების, სამოქალაქო მღელვარების ან სხვა სახის არეულობის დროს მიყენებული ზიანი; • სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები ნაწილობრივი და სრული დაზიანებისას, მათ შორის სატრანსპორტო საშუალების საჯარიმო სადგომზე გადაყვანის, დგომის და გადმოყვანის ხარჯები; • სატრანსპორტო საშუალების დაზიანება დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების საჯარიმო გადაყვანა/გადაადგილების დროს, ასევე საჯარიმო სადგომზე განთავსებისას.
2	მე-3 პირის (მე-3 პირად იგულისხმება ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მათ შორის შს სამინისტროს ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის დაუზღვეველი სატრანსპორტო საშუალება) მიმართ მიყენებული მატერიალური (არა სიცოცხლის და ჯამრთელობის) ზიანის შემთხვევაში თითოეულ დაზღვეულ სტრანსპორტო საშუალებაზე სადაზღვევო ანაზღაურების წლიური ლიმიტი (არანაკლებ 10 000 ლარი).
3	მესამე პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადაზღვევო ანაზღაურების წლიური ლიმიტი თითოეულ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაზე (არანაკლებ 10 000 ლარი; განურჩევლად ადამიანების რაოდენობისა).

შენიშვნა*: თუ სადაზღვეო შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა წინამდებარე ტენდერის საფუძველზე გაფორმებული **ერთი ხელშეკრულების ფარგლებში** დაზღვეული ორი ან ორზე მეტი სატრანსპორტო საშუალება თვითოეული მათგანი განხილული უნდა იქნას ინდივიდუალურად და ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში და მოცემული სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა იქნას განხილული როგორც მესამე პირი.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი დაზღვეულია წინამდებარე ტენდერის საფუძველზე ხოლო მეორე მანქანა არ არის დაზღვეული, თუმცა ეკუთვნის შს სამინისტროს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულს. დაზღვეული მანქანა განხილული იქნება, როგორც ჩვეულებრივი სადაზღვევო შემთხვევა, ხოლო არადაზღვეული მანქან(ებ)ი როგორც მესამე პირი. ზემოაღნიშნული ორივე პირობა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ სადაზღვევო შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა ერთი და იგივე სტრუქტურული ერთეულის სატრანსპორტო საშუალება.

უფლებამოსილ მძღოლად განისაზღვრებიან: შსს სამინისტროს ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფის შესაბამისი მართვის უფლების მქონე თანამშრომელი ან მართვის უფლების მქონე ნებისმიერი პირი, თუ მას მანქანაში უზის შს სამინისტროს თანამშრომელი.

სსიპ - მომსახურების სააგენტოს შემთხვევაში უფლებამოსილ მძღოლად ასევე განისაზღვრება ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვის უფლების მიღების მიზნით აბარებს პრაქტიკულ გამოცდას.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შსს სსიპ „112“-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**

სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება და სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა შემთხვევა (ზარალი)

შესაბამისი რისკი პოლისით დაზღვეული არაა:

1. შემთხვევა, რომელიც მოხდა სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა ან ისეთი განზრახი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
2. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და საგარანტიო შეკეთების ხარჯები;
3. შემთხვევა, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენა–სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;
4. უშუალოდ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების საბურავებზე მიყენებული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა დაზღვეულ რისკებს, რომლის გამოც, დამზღვევი (მოსარგებლე) უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკზე;
5. მზღვეველთან შეუთანხმებლად სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სასწავლო ან სასპორტო დანიშნულებით;
6. სატრანსპორტო საშუალების გასაღების, სარეგისტრაციო ნომრის ქურდობა/დაკარგვა;
7. ნებისმიერი სარემონტო ხარჯები, რომელიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
8. ცვეთა, კოროზია, დაჟანგვა, თანდაყოლილი დეფექტი, დეფექტიანი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების გამოყენება;
9. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის მიერ სისხლის სამართლის კანონდებლობით გათვალისწინებული განზარახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როდესაც სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია სისხლის სამართლის დანაშაულის იარაღად.
10. გაჩერებული დაზღვევული სატრანსპორტო საშუალების დაუდგენელი პირების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურების შემთვევები, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაზიანების აღმოჩენისთანავე დაკავშირება;

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შსს სსიპ „112“-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**

ზარალის ანაზღაურების პირობები

1. სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ მზღვეველისთვის შეტყობინების ვალდებულება:

დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების ან/და დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებებით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, შესაბამისი შეტყობინების განხორციელების მიზნით დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან დამზღვევის უფლებამოსილი სხვა პირი უკავშირდება სადაზღვევო კომპანიის 24 საათიან საინფორმაციო სამსახურს ნომერზე +995 322 640 640, საპატრულო პოლიციის ან გადაუდებელი დახმარების ნომერზე (112) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 საათის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზარის განხორციელება შეუძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

2. ზარალების რეგულირების ექსპერტი ან/და მენეჯერის სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე გამოცხადების ინსტრუქცია.

კომპანიის საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირების შემდეგ შემთხვევის ადგილზე გადის ზარალების რეგულირების ექსპერტი ან/და მენეჯერი. თუ კი კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადება შემთხვევის ადგილზე გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია ან გამოცხადებისათვის საჭიროა 1 საათი ან მეტი, მაშინ დამზღვევი უფლებამოსილია არ დაელოდოს კომპანიის წარმომადგენლის გამოცხადებას და გადაიყვანოს დაზღვეული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან, თუმცა მასზე რჩება ვალდებულება უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზიანის ოდენობის შემდგომი ზრდა.

3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარსადგენი დოკუმენტები:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ, ხოლო შემთხვევის ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში ტელეფონის მეშვეობით, მზღვეველის ზარალების რეგულირების ექსპერტი დამზღვევს აძლევს ინფორმაციას კომპანიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, რომელსაც დამზღვევი წარადგენს. ზიანის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის დამზღვევი მზღვეველს წარუდგენს შემდეგ საბუთებს:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა;
- მძღოლების ახსნა-განმარტებები;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან პატაკი;
- მძღოლის სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმების ოქმი;
- საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილების (დადგენილების) ასლი;
- რომელიმე ზემოხსენებული დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარის (მაგიერ) დოკუმენტად ჩაითვლება დამზღვევის ოფიციალური წერილი, სადაც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტის წარუდგენლობის მიზეზი.

4. ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები:

სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ, მზღვეველისთვის წინამდებარე დანართით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვეველი აცნობებს დამზღვევს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

5. ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების სქემა.

კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ძრავის

დაზიანების შემთხვევაში 10 სამუშაო დღის ვადაში დამზღვევი ვალდებულია გადაიყვანოს მხარეთა შორის ერთობლივად შეთანხმებულ სერვის-ცენტრ(ებ)ში და მზღვეველის წარმომადგენლის თანდასწრებით მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერება, შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენა, დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების ან მისი ნაწილების აღდგენისათვის ან შეცვლისათვის საჭირო თანხის და ვადის მითითებით (არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში ზარალის ანაზღაურების შესახებ აქტის შედგენიდან, დეფიციტური ნაწილის შემთხვევაში არაუმეტეს 45 კალენდარული დღე ზარალის ანაზღაურების შესახებ აქტის შედგენიდან). აღნიშნული დეფექტური აქტს შედგენის შემდეგ მას ხელს აწერენ შესაბამისი სერვის-ცენტრის, მზღვეველის და დამზღვევის წარმომადგენლები. დეფექტურ აქტზე მზღვეველისა და დამზღვევის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში დგება აქტი ზარალის ანაზღაურების შესახებ.

სადაზღვეო კომპანია იღებს ვალდებულებას სერვის-ცენტრში სატრანსპორტო საშუალების შეკეთების ხარისხზე და ვადებზე, ვადების დარღვევის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დაეკისრება სადაზღვეო კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

შენიშვნა*: არაუმეტეს 5 წლის წლოვანების (რომლებზეც ვრცელდება საგარანტიო პირობა) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში არსებული კონკრეტული მარკის ავტორიზირებულ სერვის ცენტრებში, ხოლო დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებები მათი სპეციფიკის მიხედვით იმ სერვის ცენტრებში, რომელთა ნუსხაც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 5 სამუშაო დღის ვადაში შეთანხმდება დამზღვევთან.

6. სრული განადგურების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების სქემა.

მხარეთა შორის ერთობლივად შეთანხმებულ სერვის-ცენტრ(ებ)ში მზღვეველის წარმომადგენლის თანდასწრებით სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების შემდეგ, მომზადებული დეფექტური აქტის საფუძველზე თუ აღმოჩნდა, რომ სახეზეა სრული განადგურება (ტოტალი), დეფექტურ აქტზე მზღვეველისა და დამზღვევის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში დგება ანაზღაურების შესახებ აქტი. რის შემდეგაც, 10 სამუშაო დღის განმავლობაში მზღვევლი დამზღვევთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე (თანხმდება მისაწოდებელი სატრანსპორტო საშუალების ზუსტი მოდელი და მოწოდების კონკრეტული ვადები) ვალდებულია გაუფორმოს მიმწოდებელ კომპანიას სამმხრივი ხელშეკრულება. სადაც ამნაზღაურებლად დაფიქსირდება მზღვევლი, ხოლო მიმღებად დამზღვევი. სამხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში დამზღვევისა და მიმწოდებლის წინაშე ანგარიშვალდებულია მზღვეველი.

ასევე მზღვეველს ეძლევა საშუალება მესამე პირისა და სამხრივი ხელშეკრულების გარეშე, მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს დამზღვევს ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება.

ჩასანაცვლებელი სატრანსპორტო საშუალების მოწოდების ვადები არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარულ დღეს.

სატრანსპორტო საშუალების სრული განადგურების შემთხვევაში დამზღვევის სატრანსპორტო საშუალებით დაკმაყოფილება უნდა მოხდეს არანაკლებ კონკრეტული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულების (დანართი N2-ის მე-6 სვეტი) ოდენობის ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებით (მოდელი, მარკა და მწარმოებელი უნდა შეთანხმდეს მხარეთა შორის).

ასევე შესაძლებელია 1 (ერთი) ან მეტი სატრანსპორტო საშუალების სრული განადგურების შემთხვევაში დამზღვევის მოთხოვნის საფუძველზე მზღვეველმა დაზღვეული დააკმაყოფილოს არაიდენტური რაოდენობის ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ით. აღნიშნულ შემთხვევაში, ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ჯამური საბაზრო ღირებულება არ

უნდა იყოს ნაკლები სრულად განადგურებული (გატოტალებული) სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ჯამურ სადაზღვევო ღირებულებაზე (დანართი N2-ის მე-6 სვეტი).

შენიშვნა*: სატრანსპორტო საშუალებების სრული განადგურების შემთხვევაში დამზღვევის და მზღვეველის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მზღვეველი უფლებამოსილია აუნაზღაუროს დამზღვევს სატრანსპორტო საშუალების ღირებულების თანხა 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შსს სსიპ „112"-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**

დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების შეცვლის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის გადანაწილების პირობები

დასაბუთებული საჭიროებიდან გამომდინარე, დამზღვევის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სადაზღვევო სიაში დამატება ან ამოღება. დამზღვევი უფლებამოსილია შეუზღუდავად მოახდინოს ახალი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა სატანდერო პირობების შესაბამისად

სატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზღვევის გაუქმების მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებული პრემიად".

დამატებით სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის შემთხვევაში პრემია დაითვლება დარჩენილ პერიოდზე.

სრული განადგურების (ტოტალის) შემთხვევაში დამზღვევი სადაზღვევო პრემიას იხდის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ვადის ბოლომდე.

იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც დამდგარია ნაწილობრივი ზარალი და დამზღვევის მიერ ამოღებული იქნება სადაზღვევო სიიდან, დაზღვევის გაუქმების მომენტიდან დარჩენილი სადაზღვევო პრემია აღარ იქნება დამზღვევის მიერ გადახდილი და ის ჩაითვლება ,,გამოუმუშავებული პრემიად".

დამატებითი დასაზღვევი ან/და სადაზღვევო სიიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის პრემიის ოდენობა გამოთვლილი იქნება დღიური პროცენტის მიხედვით, რომელიც დაანგარიშდება, დრიური პროცენტის ფაქტობრივ დღეებზე გადაანგარიშების გზით.

სრული განადგურების შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება მზღვეველს არ გაატანოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურებამდე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შსს სსიპ „112"-ის დირექტორის მოადგილე	გენერალური დირექტორი
ავთანდილ ჩიტაძე	**კახაბერ დიასამიძე**